



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება №66

ქ. ბათუმი

(კოდიფიცირებული)
18 ივლისი, 2017 წ.

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების
წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, ბსუ-ს
წესდების მე-8 მუხლის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგენისა და
აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების თანდართული წესი (დანართი №1).
2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „ბსუ“) სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს და შეფასების წესს.

მუხლი 2. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

1. ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევით პროექტს/პროექტებს ამ წესის დანართი 1-ის შესაბამისი სტრუქტურით.

2. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებული ბიუჯეტის ფარგლებში, განიხილავს თითოეულ სამეცნიერო-კვლევით პროექტს, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ინსტიტუტების ბიუჯეტის შედგენისა და ქონების სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებასთან.

3. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ შემუშავებული სამეცნიერო-კვლევით პროექტები შესაბამისობაში უნდა იყოს ბსუ-ს მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

4. ამ წესის შესაბამისად შედგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

5. აკადემიური საბჭო ადგენს წარმოდგენილი პროექტის გახორციელების საჭიროებას და ბსუ-ს მისიასთან შესაბამისობა. აგზავნის ექსპერტიზისათვის გარე შემფასებელთან/შემფასებლებთან, რომლის/რომელთა დასკვნის საფუძველზე დებულობს გადაწყვეტილებას.

მუხლი 3. სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური სავალდებულო მოთხოვნები

1. სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური სავალდებულო მოთხოვნებია:

1.1. შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულება;

1.2. ბსუ-ში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოსთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულება;

1.3. ამ წესით გათვალისწინებული სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულება;

2. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის (შემდეგში „პროექტი“) ფარგლებში სამეცნიერო პერსონალის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო ამ წესის თანდართული კლასიფიკატორის (წესის N2 დანართის) მიხედვით შეადგენს:

2.4. 2023 წლიდან:

2.4.1. მთავარ მეცნიერი თანამშრომლისათვის:

ა) ბოლო 3 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ბოლო 3 წელიწადში ერთხელ 2.1 ან 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/მონოგრაფიის (უცხოენოვანი მონოგრაფიის გამოქვეყნების შემთხვევაში აუცილებელია მისი ქართულენოვანი თარგმანის ელექტრონული ფორმით არსებობა) გამოქვეყნება;

გ) ბოლო 3 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 4.2 ან ბოლო 5 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორი 4.1 პუნქტებით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობა.

2.4.2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის:

ა) ყოველ 2 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 1.2 ქვეპუნქტით ან ყოველ 3 წელიწადში ერთხელ 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ბოლო 3 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.5, 2.6 ან 3.2 ქვეპუნქტებით ან ყოველ 4 წელიწადში ერთხელ 2.1 ან მე-3 პუნქტების 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/ მონოგრაფიის გამოქვეყნება;

გ) ბოლო 3 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 4.1, 4.2, ან 4.3 პუნქტებით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობა.

2.4.3. მეცნიერი თანამშრომლისათვის:

ა) ყოველ 3 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 1.2 ქვეპუნქტით ან ყოველ 4 წელიწადში ერთხელ 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ბოლო 4 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.5, 2.6 ან 3.2 ქვეპუნქტებით ან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ 2.1 ან 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/მონოგრაფიის გამოქვეყნება;

გ) ბოლო 3 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 4.1, 4.2, ან 4.3 პუნქტებით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობა.

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/93 დადგენილებით)*

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კომპონენტებია:

1.1. სამეცნიერო ნაშრომები/მონოგრაფია/გამოგონება/პატენტი (ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტივობის შესრულება):

ა) Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებული სამეცნიერო ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ეროვნულ ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი.

1.2. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა: Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებული სამეცნიერო ღონისძიების თეზისები/გამოცემები;

1.3. გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში (საერთაშორისო, ეროვნულ ან საუნივერსიტეტო) მონაწილეობა ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების (80% და მეტი) მიღება;

1.4. სხვა სამეცნიერო აქტივობები: სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა ან სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა ან საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა ან სამეცნიერო სემინარების ჩატარება ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა ან სამეცნიერო გამოცემების რედაქციის წევრობა ან სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება ან მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა ან სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება ან საექსპერტო მომსახურება ან საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა ან ასვა.

2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცედურებია:

2.1. ამ მუხლით მე-2 პუნქტის კომპონენტების გათვალისწინებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება განხორციელდეს ამ წესის დანართი 3-ის ველების შესაბამისად, ბსუ-ში მოქმედი ელექტრონული პორტალის (www.apa.bsu.edu.ge) გამოყენებით, მათ შორის დასაქმებულის თვითშეფასების საფუძველზე;

2.2. შეფასებაზე პასუხისმგებელი პირების (სამეცნიერო კვლევების სამსახური, რექტორის მოადგილე, ინსტიტუტის დირექტორი, განყოფილების გამგე, დეკანი, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) მიერ დასაქმებულის თვითშეფასების თითოეული კომპონენტის შესაბამისი აქტივობის დადასტურება;

2.3. პასუხისმგებელი პირის დადასტურების საფუძველზე, სხვა სამეცნიერო აქტივობის შეფასება (ქულების მინიჭება, რომელიც არ არის დამოკიდებული რაოდენობრივ მაჩვენებელზე):

- ა) სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა - 1 ქულა;
- ბ) სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა - 1 ქულა;
- გ) საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა - 1 ქულა;
- დ) სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა - 2 ქულა;
- ე) სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა - 3 ქულა;
- ვ) სამეცნიერო სემინარების ჩატარება - 2 ქულა;
- ზ) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა - 1 ქულა;
- თ) სამეცნიერო გამოცემების რედაქციის წევრობა - 2 ქულა;
- ი) მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა - 3 ქულა;
- კ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 1 ქულა;
- ლ) სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება - 2 ქულა;
- მ) სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება - 2 ქულა;
- ნ) საექსპერტო მომსახურება - 2 ქულა;
- ო) საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა - 2 ქულა;
- პ) სხვა აქტივობა - 1 ქულა.

3. სამეცნიერო აქტივობებისა და მინიჭებული ქულების საფუძველზე დასაქმებულის საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგნაირად:

3.1. უმაღლესი შეფასება ენიჭება პირს, რომელიც საანგარიშო პერიოდში (გასული კალენდარული წლის მონაცემები, გარდა სამეცნიერო გრანტისა) აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი ტომსონ როიტერის იმპაქტ-ფაქტორის მქონე Web of Science ან ტომსონ როიტერის იმპაქტ-ფაქტორის მქონე ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან აქვს საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) არის ბოლო სამი წლის განმავლობაში დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი;

დ) სხვა სამეცნიერო აქტივობებში აქვს არანაკლებ 5 ქულა.

3.2. მაღალი შეფასება ენიჭება პირს, რომელიც საანგარიშო პერიოდში (გასული კალენდარული წლის მონაცემები) აკმაყოფილებს უმაღლესი შეფასებისათვის გათვალისწინებულ პირველ ან მესამე მოთხოვნას (წინამდებარე წესის 3.1 ქუნქტის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტები) ან შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან აქვს ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/პატენტი;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო ღონისძიებაში, რომლის აბსტრაქტები/გამოცემები ინდექსირებულია Web of Science ან Scopus ან Google Scholar ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) საერთაშორისო ბაზებში;

გ) არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი/ დამხმარე პირი;

დ) სხვა სამეცნიერო აქტივობებში აქვს არანაკლებ 5 ქულა.

3.3. კარგი შეფასება ენიჭება პირს, რომელიც საანგარიშო პერიოდში (გასული კალენდარული წლის მონაცემები) აკმაყოფილებს მაღალი შეფასებისათვის გათვალისწინებულ პირველ მოთხოვნას (წინამდებარე წესის 3.1 ქუნქტის „ა“ ქვეპუნქტები) ან შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი Google Scholar საერთაშორისო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში;

ბ) მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ან ეროვნულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) სხვა სამეცნიერო აქტივობებში აქვს არანაკლებ 5 ქულა.

3.4. შეფასების გარეშე ენიჭება პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებს (წინამდებარე წესის 3.1 ან 3.2 ან 3.3. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები) .“

მუხლი 5. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი და წახალისების ღონისძიებები

1. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის ამ წესით განსაზღვრული ყოველწლიური შეფასების პროცესი უნდა განხორციელდეს მომდევნო წლის არაუგვიანეს 1 თებერვლისა. შესაძლებელია ეტაპობრივად, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესაბამისად, შეფასებაც.

2. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის ამ წესით განსაზღვრული შეფასების პროცესს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან ერთად კოორდინაციას უწევს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური და ინფორმაციას წარუდგენს რექტორის მოადგილეს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილესთან ერთად შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს რექტორს და აკადემიურ საბჭოს.

4. სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული რეკომენდაციების საფუძველზე ინსტიტუტის დირექტორი, ბსუ-ს რექტორის მოადგილესთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს სამსახურებრივ ბარათს სამეცნიერო პერსონალის მიმართ ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიების გამოყენების შესახებ.

(წინამდებარე წესის დანართი 1)

სამეცნიერო -კვლევითი პროექტის დასახელება და ხანგრძლივობა: (5 წელი)

1.1. განყოფილება/ პროექტის ხელმძღვანელი

1.2.კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება

პროექტის/კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; პროექტში განსახორციელებელი ამოცანების მეცნიერული სიახლის აღწერა; პრობლემის ფორმულირება და სხვ.

1.3. კვლევის მიზნები და ამოცანები

აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები;ჩამოთვალეთ და მოკლედ აღწერეთ პროექტის საბოლოო მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები და ეტაპები, მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით და სხვ.

1.4.კვლევის მეთოდოლოგია

აღწერეთ ინოვაციური მიდგომები დაგეგმილ კვლევაში; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; პროექტის რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები და მათი გადაწყვეტის გზები და სხვ.

1.5.კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა და გავრცელების (დისემინაციის) გეგმა

აღწერეთ პროექტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება კონკრეტული რეგიონისთვის, ქვეყნისთვის, დარგისათვის; ასევე შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები. პროექტის დასრულების შემდეგ დაწყებული საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა და სხვ.

1.6. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის ხარისხი

(წინამდებარე წესის დანართი 2)

სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია

1. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა და შესაბამისი კონფერენციის თეზისები:

1.1. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;

1.2. საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული GoogleScholar-ის მიერ.

1.3. რეგიონული, რესპუბლიკური ან/და საერთაშორისო კონფერენციის მასალები, რომლებსაც არ მოიცავს წინამდებარე კლასიფიკაციის 1.1. და 1.2. ქვეპუნქტები;

2. სამეცნიერო პუბლიკაცია/გამოგონება/პატენტი:

2.1. იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ;

2.2. სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

2.3. რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია GoogleScholar-ში;

2.4. ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე აკადემიური პერსონალისთვის - რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი;

2.5. სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით;

2.6. სტატიები საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია GoogleScholar-ში;

2.7. პატენტები.

3. მონოგრაფია

3.1. მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

3.2. ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*;

3.3. საქართველოში გამოცემული მონოგრაფია, რომლებსაც აქვთ ISSN ან ISBN კოდი.

4. სამეცნიერო გრანტი

4.1. დაფინანსებულ საერთაშორისო გრანტი;

4.2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტი;

4.3. ბსუ-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი;

- 4.4. სხვა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი;
- 4.5. მაღალი შეფასების მქონე (მაქსიმალური შეფასები 80% და მეტი) სამეცნიერო გრანტის პროექტი;
- 4.6. დასაფინანსებლად წარდგენილი სამეცნიერო გრანტის პროექტი.

(წინამდებარე წესის დანართი 3)
*(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს
 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/93 და
 2020 წლის 06 აგვისტოს N06-01/52 დადგენილებებით)*

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის

	შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები	უმალესი	მაღალი	კარგი	შეფასების გარეშე	შენიშვნა
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო- კვლევითი ერთეულის (შემდგენში „ინსტიტუტის“) დირექტორი					
	ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო					
	სამეცნიერო კვლევების სამსახური					
სამეცნიერო პუბლიკაციები//გამოგონება/პატენტი	ინსტიტუტის დირექტორი					
	ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო					

	სამეცნიერო კვლევების სამსახური					
გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების მიღება, მაგრამ ვერ გამარჯვება (მაქსიმალური შეფასების 80% და მეტი)	ინსტიტუტის დირექტორი					
	ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების უფროსი					
	სამეცნიერო კვლევების სამსახური					
სხვა სამეცნიერო აქტივობები:	დადასტურებაზე პასუხისმგებელი პირი					
სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა	ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების უფროსი					
სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა	ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების უფროსი					
საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი					
	ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების უფროსი					

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა	შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი					
	ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების უფროსი					
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა	ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების უფროსი					
	სამეცნიერო კვლევების სამსახური					
სამეცნიერო სემინარების ჩატარება	ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო					
	სამეცნიერო კვლევების სამსახური					
სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა	ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების უფროსი					
	სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი					
სამეცნიერო გამოცემების რედაქოლეგიის წევრობა	ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო					

მონოგრაფიის რეცენზირება/ რედაქტორობა	ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო					
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება	შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი					
	შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი					
	ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო					
სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება	ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების უფროსი					
	სამეცნიერო კვლევების სამსახური					
სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება	ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების უფროსი					
	სამეცნიერო საბჭო					
საექსპერტო	ინსტიტუტის დირექტორი					

<p>მომსახურება</p>	<p>ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების უფროსი</p>					
<p>საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა</p>	<p>ინსტიტუტის დირექტორი</p>					
<p>სხვა;</p>						
<p><i>საბოლოო შეფასება:</i></p>	<p>ინსტიტუტის დირექტორი</p>					
	<p>ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო</p>					
	<p>სამეცნიერო კვლევების სამსახური</p>					
<p>დასაქმებულის <i>(სამეცნიერო თანამდებობის პირის)</i> კომენტარი</p>						

